

თქონა ბრენი

137
1930

№ 8-9



გამოიწერეთ თქვენი ქუჩის „ოქტომბრელი“

შ ი ნ ა ა რ ს ი

გვ.

- | | |
|---|----|
| 1. მხურვალე ხალაში მთელი ქვეყნის პიონერებს!—ა. გველესიანის | 1 |
| 2. ოქტომბრელის სიტყვა,—ლექსი გ. შალვაშვილის | 2 |
| 3. თურქესტან-ციმბირის რკინის გზა,—შ. თ. | 4 |
| 4. დოდოკას ყურცვებები,—ბ. ჩხეიძის | 6 |
| 5. პატარა მესილონენი (პიეზა)—ს. ერთაწმინდელის | 11 |
| 6. ბავშვა ბაგა,—ლექსი გ. ქუჩიშვილის | 16 |
| 7. მე-16. ყრილობა დიად ისტორიულ გადაწყვეტილებათა ყრილობაა,—
ბ. ბუდაკოვის | 19 |
| 8. ინდოეთი,—შ. | 23 |
| 9. მწყემსი,—ი ს | 24 |
| 10. უნებური მსახიობი,—თარგმანი ე. რაზიკაშვილის | 28 |
| 11. მოზარდთა კულტურისა და დახვეწების ბაღი,—ვ. ჩაჩიბაიასი | 31 |
| 12. ჩვენი მკითხველების წერილები: 1: წითელი დროშა,—ლექსი თ. დოდო-
ძის, 2. ექსკურსია თამბაქოს ქარხანაში,—თ. შარაბიძე-მანჯა-
ვიძის,—გარეკანის მე-3 გვ. | |

მხურვალე საღაგი მთელი ჯაჟუნის პიონერებს!



ზატარა ოქტომბრელებო! თითოეულმა თქვენგანმა იცის, რომ საბჭოთა კავშირის ზიონერორგანიზაციის დელეგატები პროლეტარულ ბავშვთა მეორე საერთაშორისო შეკრებაზე გერმანიის ბურჟუაზიამ არ დაუშვა. მაგრამ განა ეს ხელს შეუშლის საფრანკეთის, გერმანიის, ჰოლანდიის, ჩეხია-სლოვაკეთის და სხვა ქვეყნების ზიონერებს მჭიდრო და შეკობრული კავშირი იქონიონ საბჭოთა კავშირის ზიონერებთან? არა.

ჩვენმა ზიონერებმა ბავშვთა საერთაშორისო შეკრების დელეგატები მოიწვიეს სტუმრად საბჭოთა კავშირში და ამით ბოლშევიკური ზასუსნი განსცეს ბურჟუაზიის სითადლითეს.

გვით ,,სმოლნი“ შეკრების დელეგატები ჩამოვიდენ ლენინ-გრადში, შემდეგ ტფილისშიც ჩამოვიდენ; ისინი ათვალვირებდენ ჩვენს ფაბრიკა-ქარსებს, ზიონერთა ბანაკებს, ბავშვთა მოედნებს და სსჟ. ისინი დაწვრილებით ესაუბრენ მუშებს და ზიონერებს შეკრების შესახებ და მის შედეგებს.


ოქტომბრელებო, მოგკვწერთ, ივენენ თუ არა თქვენთან სასღვარგარული სტუმრები, როგორ მიიღეთ ისინი? ა. გველესიანი.

1929





საქართველოს
კომუნისტური
პარტია



ოქტომბრელის სიტყვა.

წინაღ მამა ქარხანაში
თითქოს გრძნობდა ძლიერ დაღლას,
არ ცდილობდა, რომ სისწრაფით
დაუძლია შრომა მარდად.

მიდიოდა დილით გვიან
უხალისოდ, მოწუენილი,
თითქოს ქარხნის ბორბლებთანაც
თან მისდევდა ისეუ ძილი.

რაღა არის, თუ დასვენება
დაგიჭირბ თვითონ სულში,
თუ რომ რკინა მარღვიანი
არ მოღუნე შრომით წელში.





ძლიერ შწეინდა, მაგრამ, შეხე,
 შევიბრების მტყუცე ძალამ
 მამაც თვისკენ ჩაითრია
 და სრულიად გამოცვალა.

აღარ უცდის ქარსნის საუვირს,
 წამოდგება დილით ადრე,
 დღეს ვაძინევე, რომ მასში შრომა
 სინარულის სსიუებს ბადებს.

კადიბანს ხელ-ჯირს ჩქარა,
 ქარსნისაკენ მიდის ისე,
 რომ იმისი დანახვაც კი
 სინარულით გულს ავიყვებს.


შეუბნება: „ახლა, შვილო,
 საქმით მკლავი არ იღლებ,
 შემოვიღეთ დიდი ხანი
 ერთმანეთში შევიბრება.“

დღეს დასკანთან როცა ვდგავარ,
 შრომისაგან გული მიცემს,

უცდილობ ჩემი სამუშაო
 შევასრულო მსნედ და მტყიცედ“.

აღარ უცდის ქარსნის საუვირს,
 წამოდგება დილით ადრე,
 დღეს ვაძინევე, რომ მასში შრომა
 სინარულის სსიუებს ბადებს.





თ უ რ ქ ე ს ტ ა ნ - ც ი მ ბ ი რ ი ს

ცხელი ქვეყანაა შუა აზია; იქ დღისით ძალიან დიდი სიცხეა, ღამ ღამობით კი ცივა. ბევრგვარი სიმდიდრეა იქ: სპილენძი, თუთია და სხვა ლითონები.

შუა აზიაში კარგად ვარგობს ბამბა და ბლომდაც ითვისება, სამაგიეროდ პური იქ ცოტაა. უმთავრესად იქ ბამბა მოჰყავთ, მაგრამ მოსახლეობა იძულებული იყო პურიც ეთესა: აბა ბამბას ხომ ვერ სჭამდნენ, შემოტანილი პური კი ძალიან ძვირი ჯდებოდა, გზის ხარჯი აძვირებდა მას.

ციმბირს ძალიან ბევრი პური აქვს. ეს პური კარგიც არის და იაფიც.



საბჭოთა ხელისუფლება ჩაუკვირდა ამ საქმეს და ასე გადაწყვიტა: „მოდი, რკინის გზით შევეერთოთ ციმბირი და შუა აზია; მაშინ შესაძლებელი იქნება ციმბირის პური შევზიდოთ იქ. თუ პური ექნებათ, შუა აზიაში იმ მიწებზე, სადაც ახლა პური ითვისება,

ბამბას მოიყვანენ, ეს კი ძალიან წინ წასწევს ჩვენ საფეიქრო მრეწველობას: ბამბა რომ ბევრი გვექნება, ბევრ ფართალს დაამზადებენ ჩვენს ფაბრიკებში, ახლა რომ ყოველწლიურად 150 მილიონი მანეთი (ოქროთი) გვეხარჯება საზღვარგარეთიდან ბამბის შემოტანაზე, ეს ფულიც გადაგვირჩება; გარდა ამისა, რკინის გზის ხაზის მახლობლად გაშენდება ქალაქები, და გამოცოცხლება დღეს უდაბური, მკვდარი მხარე“.



რკინის გზა.

ასე იფიქრა საბჭოთა ხელისუფლებამ და გადაწყვიტა თურქესტან-ციმბირის რკინის გზის გაყვანა.

1926 წელს ესტუმრენ თვალუწვდენ ველებს ვილაც კაცები, რომლებიც დადიოდნენ, ზომავდნენ, იწერდნენ, ეკამათებოდნენ ერთმანეთს და ხან რას ჰკითხავდნენ და ხან რას ადგილობრივ მცხოვრებლებს—კაზაკებს, ესენი არკვევდნენ, თუ როგორ უნდა გაეყვანათ თურქესტან-ციმბირის რკინის გზა.

1928 წელს დაიწყო ამ გზის გაყვანა, რომლის სიგრძე 1442 კილომეტრია. 1930 წლის 1 მაისს (დანიშნულ ვადაზე 17 თვით ადრე) დამთავრდა ამ გზის გაყვანა. 50 ათასი კაცი მუშაობდა თავდაუზოგავად და, როგორც ხედავთ, 17 თვით ადრე გაიყვანეს ეს მეტრისმეტად საკირო რკინის გზა. 200 მილიონი მანეთი დაჯდა მისი გაყვანა, მაგრამ ამ ფულის სულ მალე ამოიგებს ჩვენი კავშირი, ვინაიდან შუა აზია გაცილებით უფრო მეტ ბამბას მოგვცემს და საზღვარგარეთიდან აღარ დაგვკირდება ბამბის შემოზიდვა.



საუკუნეების განმავლობაში ჩუმ ველებზე მიიკლანება რკინის გველი—მატარებელი—და გულს უხარებს საბჭოთა კავშირის მშრომელებს.



დოდიკას ყურცქვიტიუზი.

ბიძია ლასოს სრულიადაც არ აწუხებდა ის ამბავი, რომ სოფელში კულაკებმა ოთხფეხი საქონელი დასოცეს და მათი ჰატარა ქალაქის გარეუბანში სოფცი აღარ იმოყუბოდა.

აი, ლასო სამუშაოდან დაბრუნდა, სელი დაიბანა, ტანისამოსი გამოიცვალა, თმა გადაივარცხნა, ულუაშები გადაისწორა, გემრიელი სადილი მიირთვა, მერე თოფი გადაიკიდა მხარზე და ჩქარი ნაბიჯით გაემურა ქალაქკარეთ მინდვრებში.

დოდიკომ ბევრი უცქირა მია ლასოს, სანამ ის ბორცვს არ მოეფარა, შემდეგ კი ისევ თავის სათამაშოებს დაუბრუნდა. ამხანაგები გართულიყვენ. რიგი თუნუქის ტრამუჯის აგორებდა, სოკი დარბოდა და აუტომობილივით ევიროდა. ექვსიოდ ამხანაგი „ნიშხანიშხას“ თამაშით ერთობოდა, და დოდიკაც ჩაერია. ამხანაგებმა ევირილი ასტყენეს, ენატყებოდენ მას თავის ჯგუფში. მათ კარგად იცოდენ, რომ რომელ ჯგუფშიც დოდიკა მოხუდებოდა, ის ჯგუფი აუცილებლად მოიგებდა თამაშს, ან კიდევ თუ რამე მხელი მოსაწუობი სათამაშო იქნებოდა, მას დოდიკა ისეთ რამეს გამოუგონებდა, რომ დიდებსაც კი გააკვირვებდა; ორი დღის წინად ტრამუჯის ტყეის ისეთი მოსერნებული ღიანდაგი დაუგო, რომ მესობელი სასლიდანაც კი მოეიდენ ბიჭები სახანხაუდ.

თამაშობამ ბავშვები ისე გაართო, რომ ვერც კი გაიგეს, რო-

კორ ჩავიდა მსე, შემოიბარა საღამო და აბდღურიალდა ელნათურები. მია ლახოს მეძებარმა შემოიბინა, და ლახოსმაც კარი. მას კურდღლები ეჭირა და ვადანცა შეიღს.

— როგორი ლამაზი ყურები აქვს! რა მძეენიერი და რბილი თათები ჭქონია! — გაიძასოდენ ბავშები.

— ჭო, ახლა კი მიეხუდი, რატომაც აქვთ სოლმე მია ლახოსას ეოველდე სორცი სადილად, — სთქვა დოდიკამ და მიუბრუნდა ამხანაგებს.

— ხვალ, ბიჭებო, ჩვენც დავიჭიროთ კურდღლები.

— დავიჭიროთ, დავიჭიროთ! — ვვიროდენ ერთად.


— ვერ დავიჭერთ, ვერა! — ნიშნის მოკებით ეუბნებოდა დოდიკას ნუშა, მესობლის გოგონა.

— რატომ ვერა?

და ნადირობის გუნებაზე მოსული ბავშები მისჩერებოდენ ნუშიკოს, აბა რას იტყვისო.

ნუშიკომ დაიწყო:

— რატომ და .. თქვენ რომ კურდღელი ნახეთ, ისეთ კურდღელს ყურები სულ დაცქვეტილი აქვს, ჩირგვში თვალდაუხუჭავი წვეს და ნუ გგონიათ ჩვენი კატასავით ძილისგუდა იეოს. თქვენ სანამ ერთ ვერსზე მიუახლოვდებით, ვურცქვიტას ისეთი ენოსვა აქვს,





რომ იმწამს ვაიგებს და თრიალკეთის ცხრა მთას გადაირბენს. შინაურ კურდღელი სომ არაა, რომ როდესაც კინდოდესთ სელი მოავლოთ და დიჭიროთ.

— არა, არა, ნუშიკო, შენ დაჯექი შენს თოჯინებთან, უკერე მათ კაბები და ჩვენ საქმეში ნუ ერევი. ნახავ, თუ ვერ დავიჭერთ! ჩემი ფინია მიწაში ჩაჭეუება და სად გატეექვება?— ეუბნებოდა ცოტა გაჯავრებით დოდიკა.

დილაადრიანად დოდიკა და მისი ამხანაგები გადაბოდენ ველ-მინდურებსე ქალაქკარეთ. მათ მთელი დღე იარეს, სანჯესამდეც კი მიადწიეს, მაგრამ უურცქეიტა არსად ჩანდა. დო-

დიკამ ფინია ისე დაღალა, რომ ბავშვებმა მსრებსე შეისვენეს და ისე მოჭეუადათ.

ერთსელ შერცხვენ კიდევ: შინდორში გლეხები მუშაობდენ. დოდიკამ ჭკითსა მათ: უურცქეიტას აქეთ სომ არსად გამოუვლიაო. გლეხებმა ვაიცინეს, მიუთითეს სერებისკენ და უთხრეს: აი, იქით შირბოდა კუშინო.

მონადირეები შეესიენ სერებს, გადაწხრიკეს ბუჩქები, მაგრამ მაინც ვერაფერი ნახეს.

დაღამდათ.

დაქანცულეები ძლივს მოათრეუდენ ფეხებს. შინ ღამის თორმეტ საათამდეც ვერ მოახწევდენ, რომ ნაცნობი შოფერი არ შემოსუდროდათ. შოფერმა ეველა ბავში ჩაიხვა ავტომობილში და შინ მოიუჯანა.

უბანში ეველამ ვაიგო დოდიკას ნადირობის ამბავი და იცინოდენ. დოდიკას რცხვენოდა, მაგრამ რაღას გააწეობდა. ნამეტნავად



ძია ღასოს არ ჰყოფნიდა სასაცილოდ. დოდიკას გული მოსწონდა თავის თავსე, რომ ნუშას არ დაუჯერა და ასეთი ამბავი მოსწონდა, მაგრამ გულს კი არ იტყვდა და ნუშად ემბდა საშუალებას დაეჭირა უურცქვიტა. ემება... ემება... და ვერსად წააწუდა. ბოლოს ნუშკოს შესწივლა თავისი განსაჭირი. ნუშკომაც არ დაიშურა რჩევა: — მისაური კურდღლები იეიდე, და ევოლებე ძამიკო უურცქვიტები.

დოდიკა სისარულით ორჯერ გადაეკლო მოაჯირს და ბლახაფის კარს სდუღესე მოექცა. ძამა ბასარში მიდიოდა. დოდიკამ ოთხი უურცქვიტა კურდღელი აეიდინა ძამას და დიდის ამბით მოიგუნა შინ. დოდიკო მთელი დღეები მათსე სრუნავდა: უსიდავდა თივას, კომბოსტოსა და ლობიოს ჰარკებს. უურცქვიტები ხედლ ნეკერსაც სიამოვნებით შეექცოდნენ.

სულ რამდენიმე კვირა გავიდა. სამმა უურცქვიტამ შეიდ-შეიდი უურცქვიტა დაჭარა, და ასლა დოდიკას უკვე ოცდასუთი უურცქვიტა ჰუავდა. მათაც მოიგეს ბაჭები და სამ თვესე 100 გადაიქცა. ასლა თუ ბასარსე სორცი არ იმოუბოდა, დედა დაჭკლავდა ბაჭიას და შეექცოდნენ კემრიელ სორცს.

ღასო ბიბამ ორჯერ ნახა დოდიკას უურცქვიტები, მოეწონა კიდეც, გამოართვა ორი სანაშენო და თვითონაც გაიჩინა. მესობლებმაც მოიშენეს, შეიძინეს სანაშენოები დოდიკასაგან. იმ ფულით დოდიკამ ბურთიც იეიდა, წიგნების ჩანთაც, რომელიც მას ძალიან მოსწონდა.

იმ ქუჩასა და უბანში ეველას ჰუავდა ესომი ოცი-ოცდაათი კურდღელი. დოდიკამ ასლა მრწეველობაც დაიწყო, ასწავლიდა მესობლებს:

— თივასაც სჭამენ, ხედლ ბაღასს სტაფილოსავით ასრამუნებენ, კომბოსტოს მწკადივით ულსენენ, დაგვილი ესო უკვართ, ნამეტნავად ლობიოს მწკანე ფოთლები და ჰარკები მოსწონთ.

დოდიკა ბევრ სსუბ რჩევასაც ეძლეოდა მესობლებს. ქალები მოდიოდნენ და მადლობას უსდიდნენ დედამისს, დოდიკა და მისი ამხანაგები კი ერთიმეორეს ეჯობებოდნენ უურცქვიტების მოშენებაში.



დოდიკა ოქტომბრელი იყო. იმ თვეებში ზიონურად გადარცხა-
დუნ. შეკრებაზე მოსულმა ემაწვილებმა მოინდომეს დოდიკას კურ-
დღლების ნახვა. ზიონურსელმძღვანელიც კი დაინტერესდა ამ ამბავმა.
ძივიდენ სანახავად და საინტერესო ამბავი გაიგეს: ზატარა ქალაქ-
ში კურდღლები თითქმის უგებლას გაყინა, და დოდიკასაც თურმე
უგებლანი იცნობდენ. ზატარა კლუბში, სადაც მშობელთა თათბირი
იყო გამართული ოქტომბრელებთან და ზიონურებთან ერთად, ერთ
საკითხად იღებდნენ დოდიკას გადარცხვა ზიონურად. დოდიკა ზიონურ-
სელმძღვანელის გვერდით იღებდა. მას ქალაქში უგებლანი იცნობდა,
მაგრამ თვალთ ბევრს არ ენახა. ხალხი სუსე წამოღება, უკრავდენ
ტაშს, თავს აშუქდენ, უნდოდათ დაენახათ დოდიკა, საკვირველი
ზიონური, ეურცქვიტების მომძენებელი. დოდიკას ეურცქვიტებმა ქა-
ლაქში დიდი საქმე გააკეთეს: შეანელეს ქალაქში სორცის ნაკლე-
ბობა; კოლმერტივმა დაიწყო ბაჭების შესუილება სხვა უბნებისთვის.

დოდიკას ძალიან უხაროდა, რომ ეურცქვიტები ჭეუება, სირ-
ცხვილი არ სჭამა ბიძია და ახოსთან და შინაც სორცი ჭქონდათ
ხოლმე სადილად.

ბ. ჩხეიძე.

პატარა მესილოსენი.

(საბავშვო პიესა 2 მოქმედებად)

მ ო ძ მ ე უ ლ ნ ი:


1. მარო—დედა.
2. ვანო—შვილი, ოქტომბრელი.
3. მაცვალა—პიონერი.
4. ილიკო—კომკავშირელი.

(სცენა: ოთახი. მარო დაღონებული ზის, პერანგს აკერებს. პაუზა).


ვანო. (შემოდის, წიგნებით) მამა სადაა, დედილო?

მარო. ა? (ერყვევა) მოხვედი, შვილო?... მამა? პო... ღვინია ხარი და წაბლა ძროხა წაიყვანა გასაყიდად.

ვანო. რათა?



სახილოსე ორში, ფიცრით ამოშენებული.



სახილოსე ორში.

მარო. მაშ რა ექნა, შვილო, საცეები აღარ ჰყოფნის, თოვა ჩვენ აღარა გვაქვს და ბზე, თოვად შარშან მოგვიცედა უკუელობით ზაქი და ნიშა ხარი...

ვანო. მერე და ხბო? ჩემი ფუჩინა?! ისიც წაიყვანა? (დაღონდება).

მარო. არა, ბოსელოშია, მაგრამ ისიც მშვიერი დალასლასებს. დაეკეტეცი და დავიღუპეთ... რაღა შევებათ უღელში, ან რძე, ყველი და კარაქი საიდან-ღა გვექნება? (პაუზა).



მაყვალა. (შემოდის, მზიარულად) ო, გამარჯობათ!.. (პაუზა. გაკვირებული) რა ემბაეია, ვანო? ა? დეიდა მარო, გეწყინათ ჩემი მოსვლა?! ა?

მარო. ო, შენა ხარ, მაყვალა, შე ცელქო?

ვანო. (გაბუტული) ჰო, შენ რა, გეცინება, და ახლა ჩვენცა გვეითხე!..

მაყვალა. რა მოხდა?

ვანო. რა და მამაჩემს გასაყიდად წაუყვანია ჩვენი ძროხა და ხარი, რადგანაც საკვები არაფერი გექონია...

მაყვალა. მერე და რათა?! საკვები თუ არა გუოფნით, აი ახლა რომ შემოიღეს საქონლისთვის საკვების დასილოსება, თქვენ არ იცით?! დღეს კომკავშირი უკვე შეუღდა სასილოსე ორმოების გათხრას, ჩვენი პიონერბავშვებიც უნდა წავიდეს ახლა, სკოლის ეზოში ვიკრიბებით, და მე შენთან წამოვედი, რომ წამეყვანე, შენ კი აქ ინდაურივით დაგიშვია ცხვირი! იი!!!



სასილოსე ნახევარობო.

ვანო. ჰო, ნუ ხარ დამცინაფი!.. აბა რა ვიცი, რა არი ის რალაცა დაოსება!..

მაყვალა. დაოსება კი არა, დასილოსება... როგორი ოქტომბრელი ხარ, რომ არ იცი?!

მარო. ჰო და, რაა ეგ დასილოსებაა თუ რალაცა?..

მაყვალა. ესა, დეიდა მარო, საკვებს დაამეყვებენ... დასილოსება ნიშნავს დამწნილებას... აი, როგორც ჭილაში ჩააწყობ ხოლმე კომბოსტოს. ისეა ისიც... სთხრიან ორმოს, ან აშენებენ ამისთვის საგანგებო კოშკს, შიგურიან სიმიანდს, ბალახს, მზისუშორიას და სხვას, როცა ჯერ კიდევ არც ძალიან ნედლია და არც გამზმარი; ის დიდხანს სძლებს, გემოც კარგი აქვს თურმე და საქონელიც სიამით სკამს; ორმო კი ისეთ ადგილზე უნდა ამოითხაროს, რომ მშრალი იყოს, თიხნარი; წყალი არსაიდან შევიდეს, არც დასილოსებული საკვების წვენი გავიდეს გარეთ, თორემ საკვები გაფუჭდება და საქონელი აღარ შესკამს... ამისათვის ორმოები რომ ამოიგოს ცემენტით, უფრო კარგი იქნებ... ასე თუ არა ვქენით, საიდან გვექნება კარგი ხორცი, რძე და სხვა ნაწარმოები, ან მატყლი საფეიქრო წარმოებისათვის?!



მარო. საკვები მქონდეს, თორემ დაუშვებლადაც კარგად შეეძლება საქონელი.

მაყვალა. ჰო და, აი ამ სიმკირის გამო არის დასილოსება... საკვები ისე რომ შეინახო—ხმება, სინოციერეს კარგავს, დასილოსების დროს კი ინარჩუნებს ყოველივე ღირსებას...

ვანო. დედა, რატომ აქამდე არა ქენით თქვენც? მაშინ ხომ ჩვენი საქონელი არ გაიყიდებოდა?

მარო. აბა, რა ვიცი, შეილო, იმწინებზე რალაცას ამბობდენ ამაზე საბჭოში და კი არ დაეუფდენ ყური... რა ვიცი, კი არა მჯერა და... მაყვალას სიტყვები ზღაპარი მგონია...

მაყვალა. (გცინება) ზღაპარი კი არა, დეილო, მართალია... აგერა, გაღმა სოფლის კოლექტივს ცდა მოუხდენია და კარგი შედეგიც გამოუღლია... ახლა კომკავშირი ატარებს სასილოსე კამპანიას, სთხრიან ორმოებს, აგებენ კოშკებს, და ჩვენ, პიონერები და ოქტომბრელები, ვანა უნდა ჩამოვრჩეთ ამ საქმეში და უფროს ამხანაგებს არ გავყუეთ? ვანო, წავიდეთ!...

ვანო. რად უნდა ჩამოვრჩე? მზადა ვარ!..

მარო. აბა, რა იცით, თქვე ცელქებო, თქვენა? რა თქვენი საქმეა? ემანდა იქ ორმოში არსად ჩაცვივდეთ...

ვანო. ნუ გეშინია, დედა...

ილიკო. (გარედან) ჰაი, ანდრო!

მარო. ვინაა?

მაყვალა. (გაიხედავს) ჩვენებიანთ ილიკოა...

მარო. რა უნდა? (კართან მივა).

მაყვალა. ილიკო, რა გინდა? მოდი აქ...

მარო. რა გინდოდა, ბიჭო?! შემოდი, მანდ რალას უღვახარ?

ილიკო. (გამოჩნდება) არა, მეჩქარება... ანდრო შინ არაა?! მინდოდა ბარი მეთხოვია; ჩვენმა უჯრედმა გადაწყვიტა სასილოსე ორმოების თხრა და იარაღი ყველას არ გეყოფნის, მათხოვეთ...

მარო. წაიდე, შეილო, როგორ დავიკერ! (გადის).

ვანო. მერე და ჩვენა?

ილიკო. (ღიმილით) რა, თქვენც აპირებთ?

ვანო. ვითომდა რატომაო?

მაყვალა. დიალ, ჩვენც მოვდივართ...

ვანო. რატომ აქამდე არ ვიცოდით! ახლა მაყვალამ თქვა...

ილიკო. აი ყოჩაღ! კარგი, წამოდი... გასწავლით, როგორ უნდა... წამოიღეთ ნიჩაბი და წერაქვი და რაც მსუბუქი სამუშაოა, იმას გაგაეთებინებთ...

ვანო. მაშ გქნება ჩემ ფუჩინას საკვები? მაშ იმას მაინც აღარ წაიყვანს გასაყიდად მამა?! (უხარია, ხტუნავს).

ილიკო. (გაკვირება) როგორ თუ გასაყიდად!

მაყვალა. როგორა და ხარი და ძროხა წაუყვანია ახლა დაბაში, ეჩქონესუნი
მარო. (შეშოაქეს, აძღვეს ბარს) აი.

ილიკო. რას ამბობენ ესენი, მარო? ანდრომ მართლა წაიყვანა გასაყი-
დად საქონელი? განა ახლა საქონელს გაყიდის კაცი?

მარო. აბა რა გვექნა, ბიჭო, მაშ შიმშილით ხომ არ დაეხოცავდით?

ილიკო. როგორ? მთელი სოფელი ფეხზე დგება ამ სილოსის ირგვლივ,
და თქვენ რა დაგემართათ?! საყვები თუ ვერ მოიძარავთ, არა გყოფნით, სი-
ლოსი სწორედ ამიტომაა შემოღებული..

მარო. აბა რა ვიცოდით... ან თუ გვექნებოდა საქამო საყვები, იმას რა-
ღა დამეაგება უნდოდა? ბარემ ისე მივცემდით და ისაა...

ილიკო. კი, მაგრამ ბევრია ისეთი ბალახეული, რომელსაც საქონელი
ისე არა სჭამს, როგორცაა, აი, თუგინდა, მაგნე, სარეველა ბალახეული, მა-
გრამ დასილოსების შემდეგ კი სიამოვნებით შეექცევა. შეიძლება ისეთსაც
კი, რომელიც ტყუილუმბრალოდ იყრება.. ეჭ, რა გელაპარაკოთ!.. ვითბა-
რით, შედით არტელში, ნუ ხართ ასე ცალკე მეთქი და რომ ვერ გაგაგები-
ნეთ! ეს ამბავი იქ არ დაგემართებოდათ! ნახეთ, არტელს როგორ კარგად
აქვს დაყენებული საქმე! (პაუზა).

მარო. რა ვიცი, ნიკას ერჩია ანდრიასთვის; გაყიდე, ის არ გირჩევნიაო?
ფულს სახლში მიანიც მოიხმარ და მერე თუ გინდა ისე შედი კოლექტივშიო;
როგორც ღარიბს, მიგიღებენ ისედაცო.

ილიკო. ვისა?! კიდევ იმ კულაკის დუღუკზე თამაშობთ?! ხალხო, რით
ვერ გაიგეთ, რომ ის ღარიბ გლახთა მტერია და ცდილობს გზა-კვალი აუ-
რიოს?!
ვანო. მე იმას!.. (რადაცას დაავლებს ხელს).

მაყვალა. რას შერები?

ვანო. რა და, სულ ფანჯრებს ჩავუღწევე, თავს გავეუტებ, თუ ვგრავა!..

(კრემლი ერევა) იმას რომ არ ეთქვა, მამაჩემი განა გაყიდდა? საწყალი ჩენი
ღვინია და წაბლა!..

მაყვალა. ჰო, კარგი, სირცხვილია, რა ვატირებს? არ შეიძლება... ისე-
თებთან შეგნებულად უნდა ბრძოლა და არა ჭკვებით...

ვანო. ჰო, რატომ არ დაჩუმდება?! ერთი გავიზარდო! ვაჩვენებ იმას!!!
(სხვების სახეზე ღიმილი). მეც წავალ და მთელ სოფელში ვიყვირებ, რომ ის
ჩენი მტერია, ჩვენ სკოლაში შევეკრიბავ ჩემ ტოლ-შეგობრებს, ამოვთხრით
ყველგან ორმოებს და ყველაფერს დაეასილოსებთ, იმ ნიკასაც შიგ ჩავასილო-
სებთ, დეე დამეადეს, ჰე! ისე მოუხდება!.. (სიცილია).

მარო. (გალერსება) კარგი, შეილო, გეყოფა ჯავრი..


ილიკო. (სიცილით) მერე და ნიკა დასილოსებულიც რომ არ ვარვა?

ვანო. ბიჭოს! შენ არა თქვი, ყველა მაგნე, სარეველა შეიძლება დასი-
ლოსდესო? ვინღა იმაზე უფრო მაგნე და სარეველა?! (სიცილია).

ილიკო. არა, ის კია მავნე, მაგრამ შე ბალახეულზე ვთქვი... ღიღინა, რაც წაიყვანა? ან რად მისცა გაყიდვის მოწმობა საბჭომ?
 მარო. არ ვიცი, მოწმობა აქვს თუ არა, ისე კი ალბათ ორღობეში თუქნება იქნება გაცილებული...



სახილოსე ნახევაროში.



სახილოსე ორში.

ილიკო. აბა მაყვალა, ახლავე ვაიქეცი და შეატყობინე ჩემ ძმას, შალიკოს, რომ შეჯდეს ცხენზე და დაეწიოს ანდროს, ჩემ მაგიერ უთხრას, ახლავე მოაბრუნოს საქონელი! აბა მალე!

მაყვალა. კარგი! (გარბის).

ილიკო. ჩვენ აქ ვცდილობთ მესაქონლეობის გაძლიერებას, განვითარებას, და ის კი ჰყიდის? უსაქონლო გლეხის ოჯახი აბა რა არის?! ეს ჯერჯერობით ხომ არის ჩალა, ნამჯა, ფუჩეჩი, და მერე სილოსიკ მოგვესწრება...

მარო. რა ვიცი, ვიღრე მსუქნებია დავყიდაო, თორემა ზამთრამდე არ გამყვება საკვები და მერე გამხდრებში ვინ რას მომცემსო...

ილიკო. ჩემი რჩევაა, რაც შეიძლება ადრე შეხვიდეთ კოლექტივში, თორემ, როგორც ვატყობ, ასე კერძოდ ყოფნით ბევრს კარგავთ... მაშინ არც ასეთი ამბები დაგეჰართებათ... საერთო შრომა, საერთო სილოსით სარგებლობა, საერთოდვე მესაქონლეობის განვითარება... მამაჩემიკი კი ჯიუტობდა წინად, არ უნდოდა შესვლა, მაგრამ აბა ახლა ნახეთ—რა კმაყოფილია! წინად თუ მენახებოდა ხოლმე, როცა ფურჩევი შესვლას, ახლა სულ ჩემ მზეს ფიცულობს!...

ვანო. დედა, შევიდეთ ჩვენც, უთხარი მამასაც, თორემ არ მოვისვენებ, სულ ვიტარებ, ვყვირებ და არ მოგასვენებთ, ვიღრე ჩვენც არტელის წევრები არ ვაგზდებით!.. (იბილ. გვ. 18).



ბ ა ვ შ ი

ბ ა ვ შ ი ა

მშრომელი ქალი,
 ჰაწიას დედა,
 რა წაშნაც დილა
 იწყებს სიცილსა,
 დგება ხალისით,
 ოჯახს მიწხედავს,
 ბავშთა ბავაში
 წაიუფანს შვილსა.

ეტიტინება
 კზადგეზა ბაღლი,
 დედაც სუბრით
 ეაღერსება;
 აი, სუსეა
 ბავშებით ბაღი,
 გული ორივეს
 შვებით ვესება.



ს ა მ ა

აი, გამოხნდენ
 ტოლნი და სწორნი,
 შემოევკებენ
 კისკისით წინა;
 დედა და შვილი
 სიცილა-აძმორით
 ისე დაშორდენ,
 არც კი ეწეინათ.

ბავში გაიქცა
 ბავშებისაკენ
 და შეუერთდა
 ცელქების სტომას,
 დედა გაუდგა
 გზას ქარხნისაკენ
 და დაძმუდებით
 მიეცა შრომას.

გ. ქუჩიშვილი.



მარო. (ეხვევა, უყვავებს) ჰო, კარგი, შვილო, კარგი... ახლა მეც ვერ შევძლები, რომ სჯობია!

ვანო. (უხარია) მაშ შევალთ?

მარო. ჰო, კარგი, მამა მოვა და...

ვანო. (გულუბრყვილოდ) აბა, რომ შეუბნება ხოლმე მიყვარხარო, დაში-მტიკოსს!.. თუ არა და გავებუტები!.. აი!..

ილიკო. (ლიბილით ხელს გადაუსვამს თავზე) აგრე, ჩემო პატარა ამხანაგო, ისწავლე, იბრძოლე და იმრომე ახალი, სოციალისტური სოფლის აყვავებისა და ახალი ოჯახის შესაქმნელად... შენ ხარ ოქტომბრის შვილი და იყავი კარგი პატარა ლენინელი!

ვანო. მზად ვარ! (ხელს აუღებს) აი, განა მე კი ვერ ვიტყვი პოზიტი-რით ..

ილიკო. თქვენი ახალი მასწავლებელი ხომ კარვად გასწავლის ახლა?

ვანო. კარვად!..

ილიკო. ახლა რომ ოქტომბრის დღესასწაული ახლოვდება, არ ემზადება თქვენი სკოლა?

ვანო. როგორ არა... პიესასაც ვამზადებთ... იცი, დედა, მეც უნდა ვითამაშო... აი, მასწავლებელმა დღეს დაგვირიგა როლები.. მე ამას ვთამაშობ!.. (ჟურნალ „ოქტომბრელს“ მოიტანს) აი, პატარა პიესა ჩვენ ჟურნალ „ოქტომ-ბრელ“-ში.

ილიკო. აბა? (სინჯავს),

მარო. ოი, შენ კი გენაცვალე, შვილო, რომ აგეთი კარგი მყავხარ!..

მაყვალა. (შემოდის)* აი მეც!

ილიკო. ასე მალე?

მაყვალა. შალიკო აქვე წყაროზე შემხვდა, წყალს ასმევდა ცხენს... ვუთხარი თუ არა, იმ წამსვე შეჯდა და გაქუსლა...

ილიკო. კარგია... აბა, პატარა მესილოსენო, მე მივდივარ!.. სასილოსო ფრონტზეც იყავ მზად!

მაყვალა. { მზად ვართ!

ვანო. }

ილიკო. წინ! (გადის, ესენიც მისდევენ. პაუზა).

მარო. (რა იგრძნობს მარტოა) ჭაა, შე რაღა მინდა შინ?! (წერაქვს გაიდებს მხარზე, მიდის. შორს ისმის ყიყინა, საყვირი, სიმღერა).

ს. ერთაწმინდელი.

ფ ა რ დ ა.

მე-16 ყრილობა დიად ისტორიულ გადაწყვეტილებათა ყრილობაა.

26 ივნისიდან 13 ივლისამდე მოსკოვის დიდ თეატრში სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) მე-16 ყრილობა მიმდინარეობდა.

მოსკოვი, ლენინგრადი, ბაქო, ხარკოვი, დონბასი... ტფილისი... ქარხნები, ფაბრიკები, კოლმეურნეობები, სარეწავები...

საბჭოთა ქვეყნის მთელი პროლეტარიატი მხურვალედ ესალმებოდა მე-16 ყრილობას.

წითელი არმია, წითელი ფლოტი, კომპარტიები ამერიკის, ჩინეთის, ინგლისის, გერმანიის და ა. შ., ყველა ცხოველი და შემოქმედებითი ძალა ქვეყნის, წარმომადგენელი მეცნიერების, ტექნიკის და შრომის გმირები მიდიოდნენ ყრილობაზე მოხსენებებით და მისალმებებით.


სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანა, „სელმაშსტროი“, „ტურკსიბი“, ახალი ქარხნები, ახალი ორთქლმავლები, — ყველა ეს მე-16 ყრილობისადმი მიძღვნილი საჩუქრებია. მთელს ქვეყანაზე მძლავრი ღელვით გაგორდა მილიონ მშრომელთა დემონსტრაცია.

მთელი ქვეყნის მშრომელთა ყურადღება იყო მიმართული ყრილობისაკენ. თითოეული ქარხანა, თითოეული კოლმეურნეობა წარმატებით ემზადებოდა ყრილობისათვის დამატებით ათასი ტონა თუჯის, ნახშირის გამოშვებისათვის, ახალი ცეხების და ქარხნების ამუშავებისათვის, ახალი დამკვეთი ბრიგადების ორგანიზაციისა და მე-16 ყრილობის სახელობის დამატებითი ათეული ათასი ჰექტარი მიწის დათესვისათვის და ა. შ.

აი მე-16 ყრილობის ისტორიული მნიშვნელობა.

მე-16 ყრილობა ისტორიულია კიდევ იმიტომ, რომ მან აღნიშნა საბოლოო გარდატეხა როგორც ჩვენი მეურნეობის ყველა დარგში, ისე ადამიანთა ურთიერთობაშიც.

პარტიის მე-16 ყრილობამ განსაჯა მრავალი საკითხი: სოფლის მეურნეობისა და კოლექტივიზაციის შემდგომი გაფართოვების შესახებ, ხუთწლედის შესრულებაზე, პროფსაბჭოების, კომინტერნის მუშაობის და საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ; მაგრამ ყრი-



ლობის მთავარი საკითხი იყო პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში, ჩვენი პარტიის გენერალური მდივნის აშხ. სტალინის მიერ გაკეთებული. არსებული მომენტი გარდატეხის მომენტია არა მარტო საბჭოთა კავშირისათვის, არამედ მთელი კაპიტალისტური ქვეყ-



ნებისათვისაც, მხოლოდ ეს გარდატეხა ჩვენთვის აღნიშნავს სოციალისტური მშენებლობის წინსვლას მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, კაპიტალისტებისათვის კი—კრიზისის (დაცემის) ზრდას მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში.

დაცემა თვალსაჩინოა თითქმის ყველა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო კაპიტალისტურ ქვეყანაში. იქ საშინლად იზრდება უმუშევრობა, მილიონიანი მასები გლეხობისა ნადგურდებიან.

უმუშევრობის რიცხვი ძირითად კაპიტალისტურ ქვეყნებში (ამერიკა, გერმანია, ინგლისი) 20 მილიონს აღწევს და დღითი დღე იზრდება.

საბჭოთა კავშირში ამ დროს აღდგენილია და გაფართოებულია მძიმე მრეწველობა, მილიარდი მანეთები დაბანდებულია აღმშენებლობაში (ახალი ქარხნები, მალაროები, მადნები და ა. შ.), შექმნილია მთელი რიგი ახალი წარმოებები, რომელიც გვათავისუფლებს საზღვარგარეთის დამოკიდებულებიდან. თითქმის გადაჭრილია საკითხი პურის შესახებ, ნახევარზე მეტს მთელი პურისას, რომელიც გასაყიდად მიდის მომხმარებელთან, წელს საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობები მოგვცემს; საბჭოთა მეურნეობები იზრდება და მაგრდება. საკოლმეურნეო ხუთწლედის შესრულებული იქნება ორ წელში; გლეხობის უმთავრესი მასა შემობრუნდა სოციალიზმისაკენ; ჩვენ უკვე გვაქვს 40 პროცენტი განსაზოგადოებული მეურნეობების (კოლმეურნეობებისა). ნაცვლად 20 მილიონი ჰექტარისა, რაც ჩვენ უნდა გვქონოდა ხუთწლედის ბოლოს, ჩვენ უკვე გვაქვს 36 მილიონი ჰექტარი. ხუთწლედის მრეწველობაში შესრულებული იქნება 4 წელში, ზოგიერთ წამოწყებაში კი 3 წელშიაც.

ჩვენი წარმოებები სერიოზულად აშინებს მთელი ქვეყნის კაპიტალისტებს, და ისინი ყოველგვარ ზომას ხმარობენ, რომ ხელი შეუშალონ ჩვენი ხუთწლედის მშენებლობას. მაგრამ ჩვენ გვყავს მეგობრები—საზღვარგარეთის მუშები, რომლებიც დგანან ს.ს.რ. კ. მხარეზე, და ჩვენში გვყავს ბრძოლაში გამობრძმედილი წითელი არმია.

ჩვენ უნდა გავამაგროთ წითელი არმია და დავიპიროთ კავშირი საერთაშორისო მუშებთან. მაშინ ჩვენ ვერავინ ვერ დაგვძლევს.

ჩვენს აღმშენებლობაში გველობება მრავალი დაბრკოლება, ჩვენს წინაშე დგას ფართე და რთული ამოცანები, რომელიც უნდა იქნეს გადაწყვეტილი, და მე-16 ყრილობამაც მოგვცა დაწვრილებითი მითითებანი ამ მიმართულებით. ჩვენთვის აუცილებელია სწორედ წავმართოთ ჩვენი მრეწველობა, აკრეთვე სოფლის მეურნეობაც, დავყოთ იგი რაიონებად, ცალკეული კულტურების მიხედვით.

მრეწველობაში უნდა იქნეს ცალკე რაიონები ნახშირის მოპოვებისათვის, რკინის მადნისათვის, რკინის და თუჯის გამომუშავებისათვის და სხვ. სოფლის მეურნეობაშიც პავასა და სხვა პირობებთან შეფარდებით განვითარება სხვადასხვა კულტურისა აგრეთვე უნდა იყოს დანაწილებული რაიონებად—რაიონი ბამბის, ქერის, ხორბლის, ქარხლის და სხვა.

აუცილებელია მუშათა წრიდან მომზადება მრეწველობისა და სოფლის მეურნეობისათვის ხელმძღვანელების, ინჟინრების, აგრონომების. აუცილებელია შეუნელებელი ბრძოლის წარმოება მავნებლობასთან, ბიუროკრატიზმთან. თუ ჩვენი წრიდან გადამზადებული ხელმძღვანელები არ გვეყოლება, ისე ჩვენ ჩქარა ვერ მოვიცილებთ მავნებლობას, ვერ აღმოვფხვრით ბიუროკრატიზმს და შეუძლებელი იქნება ჩვენი მეურნეობის წინსვლა.

შემდეგ ჩვენს წინაშე გადაუდებელ ამოცანად დგას—სწრაფად განვავითაროთ შავი მეტალურგია და ავიყვანოთ თუჯისა და რკინის გამოშვება ხუთწლედის ბოლოსათვის 17 მილიონ ტონამდე. ჩვენთვის საჭიროა შრომის ნაყოფიერების აწევა, წარმოების გაუმჯობესება. ჩვენ უნდა ჰავადილოთ საბჭოთა მეურნეობების და კულმეურნეობების რიცხვი, გავუმჯობესოთ რკინის ზგების მუშაობა და გავიყვანოთ ახალი ზგები; ბევრია გასაკეთებელი მესაქანლეობის და ტექნიკური კულტურის (ბამბა, სელი, ქარხალი, მზისუმზიზა) განვითარების მხრივ, რომ არ იქნეს ნაკლოვანება ხორცის, რძის პროდუქტების, მანუფაქტურის და სხვა, რომ ჩვენ არ დაგვკირდეს საზღვარგარეთ რაიმეს ყიდვა.

3. ბურდაკოვი.



პიონერთა შტაბის დედეგატები, სტუმრად ჩვენში ჩამოსულნი.

ი ნ ლ ო ე თ ი.



ინდოეთი ძალიან მდიდარი ქვეყანაა. იქ არის ჩაის, ბამბის, ყავის, შაქრის ლერწმის მშვენიერი პლანტაციები, არის აგრეთვე აუარებელი ბუნებრივი სიმდიდრე.

ინდოეთში 300 მილიონზე მეტი მცხოვრებია. იქ მთელი მიწების ნახევარი თავადების ხელშია, მეხუთედი ეკუთვნის მშრომელ მოსახლეობას, დანარჩენი კი ინგლისელებს უჭირავთ.

ინდოეთი ინგლისის ხელშია. ინგლისელები ავიწროებენ მშრომელ მოსახლეობას, სულ მცირე ხელფასს აძლევენ მუშებს და აუარებელი ნედლი მასალა გამოაქვთ იქიდან. ინგლისს აუარებელი ფაბრიკა-ქარხანა აქვს, სადაც გადაამუშავებს ნედლ მასალას და გამზადებული საქონელი შეაქვს ინდოეთში, თანაც ძვირად ჰყიდის.

ძალიან ცუდ დღეში არიან ინდოეთის მშრომელები, ინგლისელები მათ ტყავს აძრობენ.

დიდხანს ითმინა ინდოეთმა და ბოლოს ხმა აიმაღლა უსამართლობის წინააღმდეგ. აღელდენ იქაური მუშები, დელავს გლეხობაც, ინგლისს კი არ სურს გაუშვას ხელიდან ეს „გემრიელი ლუკმა“, და ინგლისის მთავრობამ ჯარი გაგზავნა ინდოეთის მშრომელების „დასამშვიდებლად“. ინგლისის აეროპლანები ყუმბარებს ჰყრიან ძირს და ჰკლავენ ხალხს, სწვავენ სოფლებს.

ინდოეთის მშრომელმა მოსახლეობამ ბოიკოტი გამოუცხადა ინგლისის საქონელს და არ ყიდულობს ინგლისიდან შემოტანილ ფართალს, შალეულს და სხვა ნივთებს.

უმუშევრობა იქ დღითი-დღე იზრდება.

ბლენბერნი 92 ქარხანა გაჩერდა, აღარ მუშაობს.

ინდოეთი არ წყნარდება, მას უკვე აღარ ეშანია არც კუშმა-რების, არც ჯარის... მათ ჰყავდათ ერთი მეთაური — განდი, რომელიც ინგლისელების წინააღმდეგ იარაღით გამოსვლის წინააღმდეგი იყო და ხალხს ურჩევდა ე. წ. პასიური წინააღმდეგობა გაეწიათ ინგლისელებისათვის, არ გყიდათ მათი საქონელი, არ მიეცათ გადასახადი და სხვ.

განდი დააპატიმრეს ინგლისელებმა, მაგრამ ახლა სხვა მეთაურები გამოჩნდნენ. ხალხმა შეიგნო, რომ მარტო პასიური წინააღმდეგობა არ კმარა და საჭიროა მედგარი ბრძოლა მზავრელების წინააღმდეგ.

სამასმილიონიანი ინდოეთი შეინძრა, რომ მოიპოოს თავისუფლება...

მ ვ ყ ე მ ს ი.



შორს, ინდოეთში, ერთ ზატარა სოფელში ცხოვრობდა მუქოთხე ბაუათურ. თავისი სელოებით ძალიან ცოტას იკებდა და ოჯახი მუდამ მძიერი ჰქონდა.

ბოლოს ძალიან ვაუჭირდა და ვადაწვევით თავისი ზატარა ვაჭი ნათუ მოჯამბვირედ დაეყენებია.

წაიუვანა ბიჭი და წაჰყავდა მუქოთხე სტრეკლენთან, რომელიც მათი სოფლის მახლობლად ცხოვრობდა.

— საიბ, მიიბარე ჩემი შვილი.

სტრეკლენმა თავი დაუქნია.

— კარგი, — უთხრა მან, — დატოვე ბიჭი, კამეხების მწვემსად დაუყენებ. წელიწადში 100 რუფიას დაუნიშნავ, ვაჭმევ, ვანძევ და ქვეშავეებსაც მიეცემ.

ნათუ დარჩა სტრეკლენთან. თითქმის ტიტველად ნათუ, რომელსაც მხოლოდ წელზე ჰქონდა შემოხვეული მოკლე ნაჭკერი, შეაჯდებოდა კამეხს სურგსე, ვასწევდა წინ მდინარისაკენ, და უკან მიჰყვებოდა კამეხების მთელი ვოჯი.

კამეხს ცხვირში რკოლი ჰქონდა და გაურილი, რკოლში ბაწარი

იყო გამობმული, და ნათუს ამ ბაწრის საშუალებით მიჭუჭუდა კამეჩი, საითაც უნდოდა.

კამეჩები ჩავიდოდენ წებაში, დიდხანს ისვენებდენ შიკ, და შემ-

ნებული ცხოველები საშინლად ღმუიან, ჯოკს კი მოსდევს წაბრ, ტლახში ამოსვრილი, სელებ და გულდაკაწრული, მორბის და უვირის:



დეკ ნათუ ისევ მიერეკებოდა შინ.

ზირველად ვეჟლაფერი კარგად მიდიოდა. მსოლოდ ერთ დღეს სოფლის ახლოს შარა გზასე მოთამაშე ბავშვებმა დაინახეს, რომ მათკენ მოჭქრის გააფთრებული კამეჩების ჯოკი და შემ-

— წადით, წადით! დავიღუნეთ-დავიღუნეთ! საშინელი ვეფს ვი მოგვდევს!..

ბავშვებმა მოცოცხეს.

მაგრამ ვეფსევი არ გამოინდა და დაწუნარდენ.

იმხვე დღეს საღამოს მივიდა

სტრეკლენდის მოურავი გაფურჩი და მოახსენა სტრეკლენდს:

— საიბ, ნათუ უარს ამბობს კამეჩებიც გადენასე წულის დასალევიანებლად.

— ერთი კარგად გაწყველეთ, — ურჩია სტრეკლენდმა გულგრილად. — უითომ რატომ ამბობს უარს?

— დიდი სანია, ჩვენ ადგილებში არ ჩანდენ ვეფხვები, მაგრამ დღეს მდინარესთან ისევ მიეპარა კამეჩებს ის ჭრელი უჩაღი. კამეჩებს, მართალია, ვერ ხელი არ ახლო, ეტეობა, მამღარი იყო, მაგრამ კამეჩები ჰირდაზირ გაცოფდენ და მთელი ჯოკი დაფრთხა და გაიქცა. წინამძღოლმა კამეჩმა გადმოაგდო ნათუ მიწასე და ბიჭი მაგრად გათელეს კამეჩებმა.

სტრეკლენდს თვალები გაუბრწყინდა.

— ოჰ, რა ნადირობას გაუმართავ! — სთქვა მან. — ვეფხვებ თუ საპილოს მიაგნო, ისევ მივაიმ ადგილას, როდესაც მომივდება. დამძახე, ერთი, აქ ბიჭს.

ნათუ ახლა აივანსე მჯდომ სტრეკლენდს.

— ძალიან დაუბეჯინარ კამე-

ჩებს, — უთხრა სიცილით სტრეკლენდმა, როდესაც შეხედდა ხეებს. — სვალ დილით ისევ კარგავ წულის დასალევიანებლად კამეჩებს და შენთან მეც წამოვალა კესმის?

— მე არ წავალ, საიბ, — დაიწერხულა ნათუძი.

— რას ამბობ, ვერ გავიგონე. მოიწიე ახლოს.

ნათუ მიუხსლოვდა და უთხრა.

— მე არ წავალ, საიბ.

სტრეკლენდმა მოიქნია პოლტი, გადაუშხივლა სურგზე და უთხრა:

— სვალ შენ წახვალ... და ისნომე ეს კარგად... მე მთელი წლის ქირა მივეცი მამაშენს წინდაწინ, შენ ახლა ჩემი ხარ. მოკლავ, თუ მინდა.

მეორე დღეს დილით ნათუ მკვდარივით იყო, როდესაც კამეჩსე გადამჯდარი მიუძღოდა წინჯოკს.

ჯოკს უკან მიხვევებოდენ შეიარაღებული სტრეკლენდი და გაფურჩი.

მსე ის იყო ამოდროდა, მდინარესე სქელი ნისლი იდგა.

ნათუ ჩავიდა წულში თავისი კამეჩით, ჯოკიც ჩაქუვა მათ.

სტრეკლენდი და გაფური ავი-
დენ სესე და იქიდან დაუწევს
თვალი; რება ნაზირებს.

სინჟე იყო, მსოლოდ წელის
შხაზუნი ისმოდა, როდესაც კა-
მეჩები იცვლიდენ ადგილს; უცებ
წინამძღოლმა კამეჩმა, რომელ-
ზედაც ნათუ იჯდა, თავი მალდა
ასწია და შეშინებულმა დაიდ-
მუვლა.

ნათუმ მოიხედა.

მალალი ლერწამი შეირსა
ერთ ადგილას, და ნათუმ თვალი
მოჰკრა უშეუღებელ ვეფხვს, ლერ-
წამი განაბულს. ვეფხვი ცე-
ცხლივით ელაზდა ამომავალი
მზის შუქსე.

სტრეკლენდმა დაუსტვინა სესე,
და მსეცის დიდებული თავი სი-
საკენ მიტრიალდა. იმავე წამს
გაპარდა ორი თოფი. შემსარავი
ღრიალი გაისმა ლერწამში. ვეფ-
ხვი ერთი შესტა მალდა და გა-
შეშდა.

წინამძღოლი კამეჩი გაქანდა,
ნათუმ თავი ვერ შეიკავა და მდი-
ნარეში გადაჯარდა.

ზატარა ბიჭს გასთელავდა ჯო-

კი, რომელიც სირბილეთ
მოუდგა წინამძღოლს, წელი
წაიღებდა და დახსრობდა, მაკ-
რამ მან მოასწრო ჩასტეობდა
სელებით კამეჩის კუდს და ფარ-
თხალით, ცურვით მიჰყვებოდა
მღვრიე წვალში.



გაფურმა მლივს ამოათრია
ნათუ მდინარიდან, სტრეკლენდმა
კი შესედა ბიჭს და უთხრა:

— ასე კარგად რომ არ გა-
თაფებუდიყო ჩემი ნადირობა, ვერ
გადაშირებოდი!.. აბა ამას იქით
ძალიან ადევნე თვალ-უური და,
როგორც კი დაინახო მეორე
ვეფხვი, მაშინვე შემატეობინე,
იცოდე.

იხ.

ყნაზური მსახიობი



როგორი დროც უნდა ყოფილიყო, იჯდა ბულვარში პატარა სპარსელი, ფესხაცმელების მწმენდავი მაგომა. ასე უბრძანა უფროსმა ძმამ, და მაგომაც უნდა დახმარებოდა ძმას ოჯახობის რჩენაში.

მოთმინებით უჯდა მაგომა თავის ყუთს, რომელშიაც ლამაზად ჩაელაგებინა ჩოთქები, ვაქსი, გუტალინის სავესე კოლოფები და მაუდის ნაჭრები.

აი, მიუახლოვდება გამველელი, გაჩერდება მაგომას წინ და ეუბნება:

— აბა, ბიჭო, ვაქსით გამიწმინდე. სარკესავით უნდა ააბრიოლო!

და მძიმე ჩექმა ეშვებოდა ყუთის საფეხურზე.

— გუტალინით, მხოლოდ სწრაფად.

მაგომა სწრაფად ასრიალებდა ჩოთქებს ფესხაცმელებზე, და მთლად ერთიან დასვრილი ფესხაცმელი რამდენიმე წუთის შემდეგ სარკესავით იწყებდა კრიალს.

აგერ ისევ ეშვება ფეხი ყუთის საფეხურზე და ისმის:

„მუქი ყავისფერი კრემი წაუსვი კარგად. რას გენანება!“

და ასე ყოველდღე. მაგრამ ერთ დღეს რაღაც არაჩვეულებრივი რამ მოხდა:

ყუთის წინ გაჩერდა მაღალი კაცი, ბანჯგვლიანი პალტოთი და ხაცრისფერი ქუდით. მან დააღდა ყუთს ყავისფერფესხაცმელიანი ფეხი, მაგრამ სანამ მაგომა ჩოთქებს აიღებდა, ამ კაცმა ბულვარის ხეივნისაკენ მოკურცხლა.

პირდაღებულმა მაგომამ გაოცებულმა გააყოლა მას თვალი.

— რა მოხდა?

— ბრახ! — საფეხურზე დაეშვა ვეებერთელა ჩექმა.

ბიჭმა დაავლო ხელი ჩოთქებს, მაგრამ ამ კაცმაც სწრაფად ჩამოიღო ფეხი და გამოეკიდა ნაცრისფერქუდიან კაცს.

მის შემდეგ ვარდისფერკაბიან-





მა ქალმა ისე აჩქარებით დაადგა ფეხი ყუთს, რომ კინალამ ცხვირში ატაკა მაგომას ლაქის ფეხსაცმელი. ისიც მოსწყდა ადგილს და გაიქცა.

— ეი, თქვენ! რას ცუდლუტობთ? — იყვირა მაგომამ, როცა სათვალეებიანმა ქერა კაცმა კინალამ გაუტყლიტა ვეებერთელა ფეხით ხის საფეხური.

— მილიციონერთან გიჩივლებთ! — დაეპუქრა მაგომა, თანაც კრემლები აღრჩობდა.

მაგრამ ქერა კაციც გაიქცა. შავი, ყვითელი და რუხი ფეხსაცმელები დასრიალებდნენ მაგომას გარშემო და მათი პატრონებიც გიყვებივით გარბოდნენ ბულვარის ბილიკებისკენ.

შეშინებული მაგომა აქეთ-იქით იცქირებოდა და ფიქრობდა: ნეტა ყველა ხომ არ შეიშალა ამ დილასო.

ბულვარში ხელების ქნევით და ყვირილით დარბოდა ხალხი, ბულვარის იქით კი ყველაფერი რიგზე იყო, მშვიდად დადიოდნენ მეეტლეები და გამვლელებიც ჩვეულებრივი ნაბიჯით მისეირნობდნენ, მხოლოდ ზოგიერთი მათგანი თუ გაჩერდებოდა და ცნობისმოყვარეობით გამოხედავდა ბულვარს.

უცრად ცივი წყლის ნაკა-

დულმა თავიდან ფეხებამდე დაასველა მაგომა.

— გაიქეცი, ბიჭო, გაჩქეცი შალე! — უყვიროდნენ გამვლელები. მაგომა ხედავს: მორბის ბულვარის დარაჯი. ხელში უჭირავს რეზინის გრძელი მილი და გზადაგზა სწუწავს ყველას.

შეშინებული, გაწუწული მაგომა გაიქცა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა. გზაზე სულ დაეფანტა ჩოთქები, კოლოფები, მათდის ნაჭრები. მიიღრინა ბულვარის ბოლომდე, დაეტაკა თუჯის ძეგლს, ყუთი თავზე გადაეგლო, თვითონ კი რბილ მწვანე ბალახზე გაიშნლართა.

ვილაც მიუახლოვდა, ააყენა, დაანჯღრია და ფეხზე დააყენა.

— რა, ბიჭუნო, შეგეშინდა? — ჰკითხა აღერისიანად პირვაპარსულმა ნაცრისფერქუდიანმა კაცმა.

ეს ის კაცი იყო, რომელიც ყველაზე პირველად გაექცა მაგომას.

— რა სასაცილოა! გაწუწულ წიწილას არა ჰგავს? — წამოიძახა ლაქისფეხსაცმლიანმა ქალმა.

— ეს მე გავწუწე, — გაიცინა დარაჯმა, ძალიან კი შეეშინდა. მაგომამ შეამჩნია, რომ ძეგლის საფეხურებზე ჩამომსხდარიყვნენ ყველა ისინი, ვინც მას გაექცა. ისინი ისხდნენ გაოფლიანებულნი და მძიმედ ქმინავდნენ.

სათვალეებიანმა ყმაწვილმა ნიკაბი დაუჭირა მაგომას.

— სად არის შენი ჩოთქები? დაკარგე?

მხოლოდ ახლა შეამჩნია მაგომამ, რომ მთელი თავისი ავლადიდება დაჰკარგოდა.

— აბა, ახალგაზრდებო, ერთი, ორი სამი! მოუძებნეთ სწრაფად ჩოთქები, კოლოფები, — უბრძანა ქერათმიანმა კაცმა.



მართლაც, ეს დამთხვეულები მოედვენ ბულვარს, ერთ-

მა მოუტანა მაგომას ჩოთქები, მეორემ ვაქსი, პირგაპარსულმა თავზე ქუდი ჩამოაფხატა, სხვებმა ლევიანმა ყუთი ჩამოჰკიდა.

— აი, ახლა ყველაფერი თავის რიგზეა, ბიჭიკო. შენ მოულოდნელად მონაწილეობა მიიღე კინოსურათში. გვაპატიე, რომ შეგაწუხეთ და გაგაგრილეთ.

ერთი თვის შემდეგ მაგომა გატაცებული შესცქეროდა ახალ კინოსურათს, რომელშიაც თვითონ თავისდა უნებურად მსახიობად გახდა.

ამ სურათს ერქვა „მეჩეკმე ბიჭიკოს თავგადასავალი“.





ტფილისის მოზარდთა კულტურისა და დასვენების ბაღში სადილობენ.

მოზარდთა კულტურისა და დასვენების ბაღი.

ეს ბაღი მიმდინარე წლის 1 ივნისს გაიხსნა იმ მიზნით, რომ ზაფხულის განმავლობაში ტფილისში დარჩენილი ბავშვები არ მოქცეულიყვნენ ქუჩის ვაგლენის ქვეშ. ამ ბაღში 800 ბავშვა გაიარა. ბაღში მოწყობილია სხვადასხვა გასართობი და წრეები: ფიზიკულ-ტურის, დრამატიული, რიტმის და პლასტიკის. არის აგრეთვე ბიბლიოთეკა-სამკითხველო, ეწყობა მასიური თამაშობანი, ხმამაღლა კითხვა, გამოდის კედლის გაზეთი „კ. დ. ბაღის ხმა“. 1 აგვისტოს დაარსდა საბავშვო მოედანი ბავშვთა მეგობართა საზოგადოების მატერიალური დახმარებით. ამ მოედანზე არიან 4-8 წლის ბავშვები. კვება აქვთ უფასო და ბაღში 9-4 საათამდე ჯიხებიან, ხოლო საღა-



ტფილისის მოზარდთა კულტურისა და დასვენების ბაღში ექიმი სონჯავს ბავშვებს.

მოს მშობლებს მიჰყავთ შინ. ამ მხრივ მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ბაღს. მშობელი, რომელიც 4 საათამდე სამსახურში იმყოფება, სრულიად დამშვიდებულია და დაიმედებული თავისი ბავშვის მდგომარეობით. წრეებში მუშაობა სწარმოებს 9-2 საათამდე, საღამოს კი ეწყობა მასიური თამაშობანი და სანახაობანი—კინო, წარმოდგენები; მოზ. მაყ. ქართულმა თეატრმა გამართა 4 წარმოდგენა, რუსულმა ერთი და სომხურმა ერთი. სამჯერ იყვნენ მოსკოვის ტიკინების თეატრის მუშაკნი. პირველ ხანებში იმართებოდა აგოეთვე სიმფონიური კონცერტები. საღამოობით მუდამ უკრავს სასულე ორკესტრი.

ამას გარდა ბაღმა მოაწყო ექსკურსიები ბოტანიკურ ბაღში, ზოობაღში, რევოლუციის მუზეუმში, სამხედრო ძაღლთამაშენში და ქალაქგარეთაც.

ვ. ჩაჩიბაია.



წითელი დროშა

წითელი დროშა ფრიალებს მაღლა,
ეს ნიშანია გამარჯვებისა.
ზედ წარწერაა აი ასეთი:
ვაშა ოქტომბრის დღესასწაულსა!

ყველა მშრომელსა გამარჯვებულსა
ხელში უჭირავს წითელი დროშა,
და თან მიდიან მედგრად წინ და წინ,
ვერ შეაშინებს მათ დაბრკოლება.

თამარ დოლიძე.

მძსპუსნია თამბაქოს ქარხანაში

გათენდა. მზემ შემოდგომის სხივები გამოანათა და შემომაქყიტა. მე გამოვქყიტე თვალები და შევუდექი საექსკურსიოდ მზადებას. აი კიდევაც ვდგავარ ტოლ-ამხანაგებთან რიგში და მივდივარ საექსკურსიოდ.

მზის სხივებს მოემატა სითბო, თითქოს ჩვენ გვეაღერებოდა, და ჩვენც, მზის მოტრფიალებს, დაგვცხა ზამთრის პალტოებში. ამ დროს მივუახლოვდით ერთ შენობას, რომლის კარის თავზე ეკიდა პლაკატი წარწერით: „როზა ლიუქსემბურგის სახელობის თამბაქოს ქარხანა“. შევედით შენობაში; გაისმოდა მანქანების გრიალი. ისინი გაიძახოდნენ: ღუგ, ღუგ, ღუგ, ღუგ, ჩქ, ჩქ, ჩქ, დრ, დრ, დრ, დრ! ჩვენ დავათვალიერეთ მანქნები, ბევრი რამ გავიგეთ და შევისწავლეთ. მანქანები ერთად კარგ სანახაობას წარმოადგენდა, მათი გრიალი მუშებს ახალისებდა და მძიმე სამუშაოს უადვილებდა. ჩვენ ძალიან ნასიამოვნები დავბრუნდით შინ.

მესამე საცდელ-საჩვენებელი სკოლის.

მე-III ჯგ. მოწაფე თენგიზ შარაბიძე-მანჯავიძე.

„რკტრმზრელის“

წლიურ ხელისშეწყობებს უფასო დაზღვევად გელოვს:

1. გულწითელს (ფორდსურთაბიანა წიგნი)
2. ვინც სუთ ცდის „რკტრმზრელს“ კამიონურს მთელა

წლით — მთავრად ცალი „რკტრმზრელი“

